

## სკოპინგის დასკვნა

N 27

### საერთო მონაცემები:

**საქმიანობის დასახელება:** ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია;

**საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება:** შპს „ავზი 94“;

**საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისი, სოფ. ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა N6;

**განცხადების შემოსვლის თარიღი:** 06.04.2022

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ:** შპს „გუკა“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შპს „ავზი 94“-ის (ს.კ. 226521092) მიერ წარმოდგენილ იქნა - ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში ცოტნე დადიანის ქ. N6-ში (ს/კ 81.05.02.724) არსებულ ობიექტზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ყველაზე მაღალი სიმძლავრის რეზერვუარიდან დასახლებული პუნქტი დაშორებულია 88 მეტრით. ამასთან, ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოეს საცხოვრებელ სახლსა და საპროექტო ობიექტს შორის მანძილი 23 მეტრს შეადგენს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიის მიმდებარედ არ მდებარეობს რაიმე ტიპის სამრეწველო საწარმოო ობიექტები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით შპს „ავზი 94“-ის ნავთობპროდუქტების საცავის შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 27 იანვარს. ინსპექტირების შედეგად დადგინდა რომ შპს „ავზი 94“-ის მიერ, სარეზერვუარო პარკი მოწყობილი იყო შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე, ხოლო სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 61 მ<sup>3</sup> მოცულობის 6 ცალი ჰორიზონტალური ავზი, 1000 მ<sup>3</sup> მოცულობის 3 ცალი და 500 მ<sup>3</sup> მოცულობის 1 ცალი ვერტიკალური ავზი. აღნიშნულიდან გამომდინარე (2021 წლის 10 თებერვალს) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №059391 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ამასთან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 13 სექტემბრის №002098 ადმინისტრაციული მიწერილობის საფუძველზეც კომპანიას შეეზღუდა საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული

**ინფორმაციით 2022 წლის 18 აპრილს, ასევე განხორციელდა შპს "ავზი 94"-ის კუთვნილი სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის ინსპექტირება, რის საფუძველზე დეპარტამენტში დაწყებულია სამართალდარღვევის საქმის წარმოება.**

სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოწყობილი იქნა ათი (10) მიწისზედა რეზერვუარი, საიდანაც ექვსი (6) ჰორიზონტალურია და ოთხი (4) ვერტიკალური. სკოპინგის ანგარიშიდან, ასევე დგინდება რომ 2010 წლიდან საწარმოს ადმინისტრაციის წინ, ავტომაგისტრალის მხარეს მოეწყო ავტოგასამართი სადგური (ავს), ხოლო საწარმოს საერთო ეზოში ბენზინის და დიზელისათვის მოეწყო ორი მიწისქვეშა (25-25 მ<sup>3</sup>-იანი) რეზერვუარი.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ოთხი (4) ვერტიკალური რეზერვუარის ნაცვლად მოეწყოს ექვსი (6). მთლიანად სარეზერვუარო პარკი მოექცევა ავარიული სიტუაციების დროს დარღვევისაგან დასაცავ ბეტონის შემომზღუდავ კედელში. ვერტიკალური სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში იქნება: ოთხი 1000 მ<sup>3</sup>-იანი; ერთი 400 მ<sup>3</sup>-იანი და ერთი 200 მ<sup>3</sup>-იანი მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასევე ჰორიზონტალური მიწისზედა ექვსი (6) ერთეული ავზის ნაცვლად, ხუთი (5) 60 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა ავზის/ვაგონცისტერნის მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე ასევე მიწისქვეშა (იჯარით გაცემული) ორი 25 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი, რომლებიც სარეზერვუარო პარკის საერთო მოცულობაზეა დამატებული.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად შპს „ავზი 94“-ის ნავთობპროდუქტების (ბენზინი-დიზელი) საცავის საერთო მოცულობა (ორი 25 მ<sup>3</sup> რეზერვუარის ჩათვლით) იქნება - 4950 მ<sup>3</sup>. პროექტი ითვალისწინებს, ასევე საწვავის არსებული წლიური ბრუნვის (საშუალო 15-20.0 მლნ/ლიტრი წელიწადში) გაზრდას. წლიური ბრუნვის სიდიდე საერთო ჯამში იქნება 100 მილიონი ლიტრი, საიდანაც 50 მლნ/ლ გათვალისწინებულია ბენზინის და 50 მლნ/ლ დიზელის საწვავისთვის. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სარეზერვუარო პარკი წელიწადში შეივსება 20-21 ჯერ.

პროექტის ფარგლებში აგრეთვე გათვალისწინებულია საწვავის გასაცემი ესტაკადის, სატუმბი სადგურის და საწვავის ავტოცისტერნებში გასაცემი სადგურის რეკონსტრუქცია. პროექტი ასევე გულისხმობს საწვავით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის (სალექარის) მოწყობას, სანიაღვრე წყლების შემკრები ჭების და ჩასაშვები არხების მოწესრიგებას, სარეზერვუარო პარკის ავარიული დაცვის ბეტონის ზვინულის მოწყობას (ავარიული დაცვის მიწის ზვინულის ნაცვლად), რეზერვუარებში საწვავის ქვედა მილების და ესტაკადაზე გასაცემად ქვედა ჩასხმის სისტემის მოწყობას. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად რეზერვუარებზე ღრმა ჩასხმის (მიწისქვეშაში) და ვერტიკალური რეზერვუარების საწვავით ქვედა შევსების სისტემა უზრუნველყოფს საწვავის მილების დროს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 60%-ით შემცირებას.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად რკინიგზის ჩიხში შემოსული ვაგონცისტერნებიდან ქვედა დაცლის სისტემით საწვავი მიეწოდება ავტორეზერვუარებში/ავტოცისტერნებში. სარკინიგზო ესტაკადა, სადაც მოხდება საწვავის მიღება, საერთო სარგებლობისაა. საცავში - სპეციალურად მოწყობილ საწვავის მისაღებ ესტაკადაში საწვავი შედის ავტოცისტერნებით, საიდანაც 180 მ<sup>3</sup>/სთ სიმძლავრის ტუმბოებით გადადის საწვავის მისაღებ სისტემაში და უკავშირდება რეზერვუარებს. დიზელის და ბენზინის საწვავის ავტოცისტერნებში გაცემა წარმოებს გასაცემი ესტაკადიდან, საშუალოდ 60 მ<sup>3</sup> სიმძლავრის

ტუმბოებით (2 ტუმბო - დიზელის, 2- ბენზინის და 1 სათადარიგო). ავტოცისტერნებში საწვავის ჩატვირთვა ხდება ზედა ჩასხმის მოწყობილობით აღჭურვილი ესტაკადებიდან.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია. არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა ვინაიდან, საწარმოო პროცესი გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით წარმართება, ხოლო პროექტის განხორციელება დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. პროექტის სპეციფიკის (არსებული ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია) გათვალისწინებით ადგილმდებარეობის ალტერნატივის განხილვა არ ჩაითვალა გონივრულად. **სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას და დეტალიზაციას.**

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ობიექტის წყალმომარაგება ხორციელდება ქ. თბილისის წყალსადენის ქსელიდან, ხოლო სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება - ქ. თბილისის საკანალიზაციო ქსელში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტერიტორიაზე წარმოქმნილი, ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რისკის შემცველი წყლები, მიმდები ჭებითა და არხებით ჩაედინება ქვიშის სალექარში (ზომები 3,5 X 3,0 X 2,0=21,0მ<sup>3</sup>), საიდანაც გადადის ფილტრ-ჭაში და უერთდება ქ. თბილისის საკანალიზაციო ქსელს.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ და ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის გავრცელებასთან, ასევე ნარჩენების არასათანადო მართვასთან.

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ასევე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება საწვავის მიღება-გაცემა და შენახვის პროცესის ფარგლებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი შემცირების ღონისძიება იქნება რეზერვუარებში საწვავის ქვედა მილების სისტემის მოწყობა. **მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასება. ამასთან, გზშ-ის ეტაპზე სათანადოდ უნდა განისაზღვროს ხმაურის მოსალოდნელი დონეები და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს შემარბილებელი ღონისძიებები.**

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ განხილული და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება. მათ შორის, **საქმიანობის სპეციფიკის მიუხედავად დასაზუსტებელია ინფორმაცია ნავთობშლამების და მათი მართვის შესახებ, რომელიც ტექნოლოგიური ციკლის მუდმივი თანმდევია და საჭიროებს სათანადო გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების დაგეგმვას.**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია და ჩამოყალიბებულია ტექნოგენური ლანდშაფტი, შესაბამისად ტერიტორია არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, კრწანისის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 28 აპრილს, ქალაქ თბილისში, სოფ. ფონიჭალის N218 საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ავზი 94-ის“ და კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები, აგრეთვე სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელი. საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

### **გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი**

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
  - 3.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, **გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის კონსულტანტის მიერ.
  - 3.2 **გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და რეკონსტრუქციის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად.**

#### 4. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა. მათ შორის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დეტალური დახასიათება;
- საპროექტო ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდისა და GIS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
- ნავთობპროდუქტების საცავის განახლებული გენ-გეგმა, არსებული და საპროექტო ინფრასტრუქტურის მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით, ასევე გაფრქვევის და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სხვა უახლოეს ობიექტამდე;
- ინფორმაცია 500 მ რადიუსის საზღვრებში არსებული ან/და დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის საპროექტო საქმიანობის ანალოგიური, ობიექტების შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის მითითებით);
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, დეტალურად იქნეს განხილული უმოქმედობის ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატივები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან შერჩეული ტექნოლოგიისა და გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის/სიტუაციის და ტექნოლოგიური უზნების დეტალური აღწერა;
- ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების/ღონისძიებების შესახებ, რეკონსტრუქციის ფარგლებში მოსაწყობი ინფრასტრუქტურის დახასიათებით;
- ნავთობსაცავის შემადგენელი-დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების აღწერა (არსებული და საპროექტო), შესაბამისი თანდართული სქემით და სიტუაციური ნახაზებით;
- ნავთობპროდუქტების დაცლა-გადატვირთვის ოპერაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის დეტალური აღწერა, მათ შორის: ინფორმაცია სატუმბი სადგურის შესახებ (ტუმბოების რაოდენობის, პარამეტრებისა და წარმადობების მითითებით), ინფორმაცია გამოყენებული სარკინიგზო ესტაკადის შესახებ, ტექნოლოგიური მიწების შესახებ და ა.შ;
- სარეზერვუარო პარკის დეტალური დახასიათება არსებული სიტუაციისა და რეკონსტრუქციის პროექტის გათვალისწინებით;
- ინფორმაცია არსებული რეზერვუარების შესახებ (ტიპი, მოცულობა და სხვ);
- ინფორმაცია საპროექტო რეზერვუარების შესახებ (ტიპი, მოცულობა და სხვ);
- თითოეული რეზერვუარის (არსებული, საპროექტო) და მათი ჯამური მოცულობის შესახებ ინფორმაცია (თითოეული რეზერვუარის ფუნქციური დატვირთვის მითითებით);
- რეზერვუარების დასუფთავების ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია რეზერვუარ(ებ)იდან შესაძლო დაღვრილი ნავთობპროდუქტის მოცულობის შეკავების უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ, რეკონსტრუქციის პროექტის გათვალისწინებით სარეზერვუარო პარკის

შემოზვინვის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომლის პარამეტრები და შიდა სასარგებლო მოცულობა გაანგარიშებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავებისთვის;

- სარეზერვუარო პარკში ავარიულად დაღვრილი პროდუქციის შემდგომი მართვის ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- ტექნოლოგიური მილგაყვანილობიდან ან/და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების დაზიანებისას შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების მართვის საკითხები;
- სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის შესაბამისი მოპირკეთების შესახებ ინფორმაცია (სარეზერვუარო პარკის ჰიდროსაიზოლაციო ფენის აღწერა);
- დაგეგმილი საქმიანობის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები (სიმძლავრე, მასშტაბი). ნავთობპროდუქტების საცავის საპროექტო წარმადობის-ტვირთბუნვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- საპროექტო ობიექტის ტექნოლოგიური ციკლის, ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა და გაცემის პროცედურების/ოპერაციების დეტალური, თანმიმდევრული აღწერა. მათ შორის, ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის უზნების დეტალური აღწერა;
- ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის გეგმა-გრაფიკი;
- ტექნოლოგიური ციკლის ჰერმეტიკობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია აირგამწმენდი სისტემის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ობიექტზე რეკუპერაციის სისტემის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ (აირგამწმენდი სისტემის შესაბამისი საპასპორტო მონაცემების და ეფექტურობის მითითებით);
- ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების დეტალური აღწერა, სამოდრაო მარშრუტების და ტრანსპორტირების სქემის მითითებით (სატრანსპორტო ნაკადების მართვის გეგმა);
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- დეტალური ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესების (მათ შორის, გამწმენდის მოწყობილობაში, რეზერვუარებში დაგროვილი) დროს წარმოქმნილი ნავთობშლამების შესახებ, მოსალოდნელი რაოდენობის და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების მითითებით;
- ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენების შესახებ, ასევე აღნიშნული წყლების შემდგომი მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია ნავთობსაცავის ტერიტორიაზე (საოპერაციო და არა საოპერაციო მოედნებიდან) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და მათი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ჩამდინარე წყლების (საწარმო-სანიაღვრე) შეკრებისთვის და შესაბამის გამწმენდ სისტემაში მიწოდებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი სისტემის შესახებ, გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების, საპასპორტო მონაცემების მათ შორის წარმადობის და ეფექტურობის მითითებით;

- ინფორმაცია სარეზერვუარო პარკში გაჟონვის საკონტროლო ჭის და სადრენაჟო სისტემის არსებობის შესახებ;
- ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე საკანალიზაციო სისტემის მფლობელთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო წყლებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული რისკების შესახებ;
- არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ნავთობპროდუქტების მიღება-გადატვირთვის ოპერაციების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

**5. პროექტის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
  - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
  - სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყარო(ებ)ის იდენტიფიცირება, მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების და მათი მუშაობის დროის/ხანგრძლივობის შესახებ;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. განისაზღვროს სარეზერვუარო პარკის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში ნიადაგის/გრუნტის ზედაპირული ფენის დაბინძურების მაღალი რისკის უბნები და შემუშავდეს დაბინძურებისაგან დაცვის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხები და პრევენციული ღონისძიებები. მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა;
- გაზრდილი ტვირთბრუნვის ფონზე, ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

**6. საკითხები/შენიშვნები, რომელებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები. ამასთან, აისახოს აღნიშნული რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი 25 მ<sup>3</sup>-იანი რეზერვუარი, ხოლო საწარმოს ადმინისტრაციის მიმდებარედ ავტოგასამართი სადგური, რომლებიც იჯარის ხელშერულებით სხვა კომპანიის სარგებლობაშია გადაცემული. ვინაიდან, შპს „ავზი 94“-ს დაგეგმილი აქვს არსებული ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია, რომლის შემადგენლობაში შედის ასევე 25 მ<sup>3</sup>-იანი რეზერვუარები და რომლებიც ფუნქციურად და



ტექნიკურად ურთიერთდაკავშირებულია საწარმოს არსებულ ინფრასტრუქტურასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს მათ შორის აღნიშნული რეზერვუარები. რაც შეეხება იჯარის ხელშეკრულებას, გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის საკითხი დარეგულირებულია კოდექსის მე-15 მუხლით. კერძოდ, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა გულისხმობს როგორც უფლებების, ისე შესაბამისი მოვალეობების (მათ შორის, ამ გადაწყვეტილების გადაცემამდე ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების) გადაცემას. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია ამ გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში გადაწყვეტილების მფლობელი და პირი, რომელსაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა, პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისთვის. ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;

- დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავებიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ ინფორმაცია. ამასთან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში სავალდებულოა შესრულდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილის დაზუსტების საფუძველზე;
- დაზუსტებას საჭიროებს თითოეული რეზერვუარის (არსებული; საპროექტო) ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტის რეკონსტრუქციის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ამასთან თითოეული მათგანის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია „ღრმა“ ჩასხმის და „ქვედა“ ჩასხმის სისტემის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია არაერთი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მათ შორის, გვ. 22-ზე აღნიშნულია, რომ „საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემები აღჭურვილია მექანიკური ფილტრებით“, ხოლო გვ.7-ზე მოცემულია, რომ „საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემები აღიჭურვება მექანიკური ფილტრებით“. გზშ-ის ეტაპზე აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს გენ-გეგმა დაბალი ვიზუალური გარჩევადობისაა, კერძოდ არ იძლევა საწარმოს და მისი

შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის, გაანალიზების შესაძლებლობას, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;

- მიწის ნაკვეთზე (ს/კ No81.05.02.724) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2), ხოლო თბილისის გამწვანების თემატური რუკით ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ით განსაზღვრული ფუნქციური ზონირება. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა. ამასთან, სამრეწველო ზონაში (ს-1) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- არსებულ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე ადგილას ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა კოდით N 01.01.781 (მილსადენი). პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების აღნიშნულ ხაზობრივ ნაგებობასთან თანხვედრის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს **ხაზობრივი ნაგებობის ოპერატორთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- ტერიტორია ხვდება თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტთან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში ზედმიწევნით უნდა იქნეს გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ავზი 94-ის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება - ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით**

გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.